

FS

2370

ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ
ՊԱՐԿԱՆԱԿԱՆ
ՑԵՆՏՐՈՆ

899.962.1-32



საქართველოს
ბიბლიოთეკა

მელა მასრაღინას

მოსწრებულის სიტყვები


და

ოსმალური ანდაზები

კ. 11.164
2

ოსმალურით გადმოთარგმნილი

ალექსანდრე იაკ. შირაქ—ს შირაქ



ტფილისი

მ. შარაძის სტამბა, ნიკოლ. ქუჩა, № 21.
Типог. М. Шарадзе, Николаевск. № 21.
1893 წ.



ეძლა

მას რა დინას

მოსწრებულთა სიტყვები


და

ოსმალური ანდაზები



ოსმალურით გადმოთარგმნილი

ალექსანდრა იაკ. შირაძე-ს მიერ




ტფილისი 1893 წ.

მ. შარაძის სტამბა
ნიკოლ ქუჩა, № 21

Типогр. М. Шарадзе,
Николаевская, № 21.

საგარეო ურთიერთობების
სამსახური

საგარეო ურთიერთობების
სამსახური



საგარეო ურთიერთობების
სამსახური

Дозволено цензурою. Тифлисъ, 14 Декабря 1892 г.

საგარეო ურთიერთობების
სამსახური

FS 2370

საგარეო ურთიერთობების
სამსახური
962. (17X11), [გ.ს.7.]



წინა-სიტყვაობა

ამ წიგნის თარგმნისათვის ჩვენ სულ გვეჩვენა
ორი წიგნი, ორივე კონსტანტინეპოლში დაბეჭდილი.

იმათგან ერთი არის სომხურის ასოთა და რსმალურის ენით, დაბეჭდილია 1875 წ.

მეორე წიგნის ენაც და ასოებიც რსმალურია და
ლიტოგრაფიით არის დაბეჭდილი (1299 წ. მაჰმად. წ.
აღრიცხ.) 1881 წ.

ორივეს სათაურად აწერია „ნასრდდინ სოჯანინ
თოჭაძე ლათინურად“ (მოლას ნასრდდინას უცნაურნი რსუნ-
ჯობანი). ამ ორთა წიგნთა შორის დიდი განსხვავება არ
არის და თითო მათგანი შეიცავს სულ 136 ანგდოტს.
ამათში ზოგი ანგდოტი ჩვენ საჭიროდ არ დაუინახეთ და-
საბეჭდად. ჩვენს წიგნში არის მხოლოდ 130 ანგდოტი.

ამ ორ წიგნთა შორის განსხვავება მხოლოდ იმაშია,
რომ ლიტოგრაფიით დაბეჭდილი წიგნი დასურათებულისა,
სურათები გათხუზნულია და მხელად გასარჩევი, გარდა მო-
ლას მასრდდინას სათვლავისა, რომელიც კარგად არის და-
ბეჭდილი თავისის უცნაურის სახასიაზით.

მეორე წიგნის წინა-სიტყვაობაში მოყვანილია შე-
მოკლებული ცნობა მოლას მასრდდინაზედ, რომელსაც ასე
აღწერს ავტორი:

„რამდენადაც ისტორიკოსების სიტყვით, მოლა მას-
რადინა იყო სასულაურ წოდების კაცი, ძლიერ მხარე-
ლი და მხურვალე. ის დაბადებულია გონიას გუბერნიის ერთ-
ერთს დაბაში და უცხოურ სულთან ბაიაზედ ჰირველას
მეფობის დროს (სულთან ბაიაზედ გამეფებულა მკჳმ. წ.
აღ. 791—ე. ი. ქრისტ. შ. 1372 წ.).

მოლა მასრადინას საფლავი, თავის უცხოურის სხა-
საობით, ჟერ კიდევ არსებობს იმ მხარესა, მოგვიტოვო-
ბენ საკუთარს თვალთ მხასკელები ჩვენნი ნაწინობნიო, დას-
ქენს ავტორი.

ა. ი. ბ.

[Faint handwritten text, likely bleed-through from the reverse side of the page, containing names and dates.]



მოლა მასრადინას

მოსწრებული სიტყვები



1

მოლა მასრადინა ერთხელ ტყეში დადიოდა და ჰნახა, რომ ერთს დედა-კაცს ხეზედ თავი ჩამოერჩო. ჩვენი მოლა მაშინვე გაქანდა, ხერხი იშოვნა, მოიტანა და დაუწყო იმ ხის ეჭოს ტოტს ხერხვა; ამ დროს იმისმა ერთმა ნაცნობმა გამოიარა და ჰკითხა:

— მოლა! მაგ ხის ტოტს რისთვის ხერხავო?

— იმიტომ, რომ, როგორც ეტყობა, დედა-კაცებს ამ გვარს ხეზედ ჰყვარებიათ თავის ჩამორჩობა და მეც ჩემის ბალის ერთს ხეზედ ამ ხის ტოტი უნდა ვამყნო, იქნება ჩემმა ცოლმაც თავი ჩამოიჩროს და მომასვენოსო, უბასუხა მოლამ.

2

მოლა მასრადინა ერთხელ მონია ქალაქს მივიდა, ერთს ჰალვახანაში შევიდა და ჰნახა, რომ ჰალვახანაში არც პატრონი იყო და არც სხვა ვინმე. ლოდნა აღარ დაუწყვია, ჰალვის ქამას მიჰყო ხელი. ამ დროს მეჰალვემაც შემოასწრო, აიღო კეტი ჭ



დაუპატიებელს სტუმარს თავში დაუშინა. მოლამ, გაქცევის მაგიერ ქამას უფრო მოუმატა. თან ჰყლავდა ჰალვას ჭ თან ამბობდა:

„ოჰ! ეს რა გულ-უბვი ქვეყანა ყოფილა, განა ამისთანა სიუბვეც გაგონილა სადმე, რომ ცემით, ძალის-ძალად ჰალვა აქამონო“.

3

მრთხელ გლეხები შეიკრიბნენ და მოლასა ჰკითხეს:

— როცა მთვარე ძველდება, რას უშვრებიან და ან სად ინახვენო?

— ნუ თუ აგეთი უბრალო რამეც ვერ გაგიათ? როდესაც მთვარე დაძველდება, მაკრატლით გარეშემოს შემოაქრიან - და ვარსკვლავებად გადააკეთებენო, უპასუხა მოლამ.

— იცოცხლე, მოლა, დიდხანს, ცოდნა რა კარგი რამ არის! ლმერთმა გიშველოს, რომ გაგვაგებინეო, უთხრეს გლეხებმა და განშორდნენ.

4

მრთხელ მოლა მასრადინა სხვის ბაღში შეიპარა ხილის მოსაპარად. ძავსო თუ არა ტომარა და გამოსვლა დააპირა, სწორედ ამ დროს მებაღე თავს წამოადგა, შეაყენა და ჰკითხა:

— აქ რა გინდაო?

— ოჰ! შეილო, განა არ გახსოვს ის საშინელი ქარიშხალი, ამ ორის დღის წინად რომ ამოვარდა?

— მახსოვს, მერე აქ ქარიშხალი რა შუაშია?

—იმ შუაშია, რომ იმ საშინელმა ქარმა გად-
მომაგდო აქაო, უთხრა მოლამ.

—პეთილი, მაგრამ ეს ხილი რაღამ დაჰკრიფა?

—რადგან დიდი ქარი იყო და მბარბაცებდა,
აქეთ-იქით მახლიდა, მეშინოდა არ წავქცეულვიყავ და
ხან ერთის ხის ტოტს ვეჭიდებოდი, ხან მეორისას.
ამიტომ ჩამოცვივდა ხილი ტოტებიდგან.

—მგეც ვსთქვათ, რომ აგრეა, მერე ამ ტომა-
რაში რაღამ ჩაალაგა?

—აი, ეგ-კი არ ვიცო, უპასუხა მოლამ: რო-
ცა შენ მოხვედი და თავზედ წამომადექი, სწორედ
მეც მაგის ფიქრში ვიყავიო.

5

მართმა ჰკითხა მოლა მასრადინას:

—რა მოგცე საოსტატო, რომ ჩემს შვილს წე-
რა-კითხვა ასწავლო?

—ექვსი თუმანი.

—რას ამბობ, მოლაგ! ექვს თუმნად ექვს ვირს
ვიყიდი.

—მე უფრო კარგი იქნება შენთვის, რადგან შე-
ნის შვილიანად შვიდი ვირი გეყოლებათ, უპასუ-
ხა მოლამ.

6

მართხელ მოლა მასრადინამ თავისი მრევლი მე-
ჩითში მიიწვია, აღლაჰს შეავედრა და სამადლობელი
ლოცვა ათქმევინა. ლოცვის შემდეგ მოლას ჰკით-

ხეს, ეს სამადლობელი ლოცვა რაღა მიზეზით გადაიხადეო?

— იმ მიზეზითაო, უთხრა მოლამ: ღმერთს მადლობას უნდა სწირავდეთ, აქლემისათვის ფრთა არ გამოუბამს. აქლემს რომ ფრთები ჰქონოდა, ბანებზედ აფრინდებოდა და სახლს თავზედ ჩამოგანგრევდათო.

7

მართს ღამეს მოლას სახლში ქურდი შევიდა და იქაურობა სულ ერთიან გაზიდა. როცა გათენდა და მეზობლებმა შეიტყეს ეს ამბავი, მივიდნენ მოლასთან და მიუსამძიმრეს. მართმა ჰსთქვა:

— აფსუს, აფსუს, რა მოსვლია ამ საბრალოს! მაგრამ კარები რომ მაგრად ჩაეკეტნა, ეს ფათერაკი არ დაემართებოდაო.

მეორემ დაატანა: ფანჯარა რომ მაგრა ყოფილიყო მიხურული, ქურდი ვერ შევიდოდაო.

მესამემ დასძინა: ფანჯარას რომ რკინა ჰქონოდა, ქურდი ვერას დააკლებდაო. ზოგმა კვლავ რა მიზეზი უპოვა და ზოგმა რა.

— ძალიან კარგი! ვსთქვათ, რომ ესენი სულ ჩემი ბრალია. მაშ ჩემის სახლის გამქურდავს-კი ბრალი სულ არა აქვს, რომ იმისას არასფერს ამბობთო? ჰკითხა გულ-ნაკლულმა მოლამ.

8

მართხელ მოლა მასრადინას საშინელი ხველა აუტყდა. მისაწავლეს ერთს სოფელში მცხოვრებ

ხველების წამლის მცოდნე კაცთან. მივიდა მოლა ამ კაცთან წამლის სათხოვნელად, მაგრამ ჰნახა, წამლის გამკეთებელსაც ისე ახველებდა, რომ ორი სიტყვაც ვერ ეთქვა ზედი-ზედ—თავისუფლად.

—თქვენი წამალი ხველას კარგადა ჰრგებსო?
 ჰკითხა მოლამ.

—რასა ბძანებთ, ჩემი წამალი ხველებისათვის უებარია.

—მაშ კარგი, უპასუხა მოლამ: ჯერ თქვენ იწამლეთ, მორჩით და მერე მე შემატყობინეთ, მოვალ და წამალს მაშინ წავიღებო.

9

მოლა მასრადინა ერთხელ ერთს მდინარის ნაპირას იჯდა. მდინარესთან ათამდე დედაკაცი მოვიდა და სულზედ თითო კაპეიკი შეაძლიეს, ოღონდაც წყალ-გაღმა გაგვიყვანეო. მოლა დასთანხმდა, ცხრა გაიყვანა, მაგრამ მეათის გაყვანის დროს-კი ფეხი დაუსხლტა, თავი ველარ შეიმაგრა, დედა-კაცი ხელიდგან გაუვარდა და წყალში დაირჩო. მშვიდობით გასულმა დედა-კაცებმა: წივილ-კივილი და ტირილი ასტყხეს. მოლამ ანუგეშა:

—თქვენ რა გატირებთ, თუ სატირელია, მე უნდა ვიტურო, ერთი კაპეიკი დამეკარგა, ეჰ, რა გაეწყობა, ათის კაპეიკის მაგიერ, ცხრა მომეცით, იმასაც დაგჯერდებითო.

10

ერთხელ მოლა მასრადინამ იმ ქალაქის გამგებ-

ლის (ლენგ-თიმურის) სიამოვნება მოინდომა, რომელშიაც თითონ სცხოვრობდა, ოთხი დიდრონი ვაშლი იყიდა, სინზედ დააწყო, თავზე დაიდგა და გაუდგა გზას. გზაზედ ვაშლებმა აქეთ-იქით დაიწყო გორაობა. მოლა შეჩერდა და მიუბრუნდა ვაშლებს:

— დაწყნარდით, თორემ დაგსჯითო! ✓

ზადასდგა კიდევ რამდენიმე ნაბიჯი, მაგრამ ვაშლებმა მაინც თავისი არ დაიშალეს. ილაჯი რომ გაუწყდა მოლას, ჰსთქვა: „არ იშლით და მე თქვენ გაჩვენებთ სეირსა!“ პილო, სამი ვაშლი შექამა და ერთი-კი გამგებელს მიართვა დიდის სინით; როცა გამგებელმა ამ ვაშლების დასჯის ამბავი მოისმინა და მიზეზი შეიტყო ახირებულის ძღვენისა, ბევრი იცინა და მოლაც დიდად დასაჩუქრა.

მს საჩუქარი ძალიან გაუჯდა გვერდებში მოლას და ერთის კვირის შემდეგ რამდენიმე გირვანქა დიდრონი კომში იყიდა, დააწყო სინზედ და დააპირა წაღება გამგებელთან. ამ დროს ცოლმა მოასწრო და ჰკითხა:

— ვისთან მიგავქს ეგ კომშებო?

— გამგებელთან მიმაქვსო, უპასუხა მოლამ: კარგად იცის ხოლმე დასაჩუქრება.

— სულელი ხარ! არ იცი, რომ ჩვენი გამგებელი ბებერია და უკბილო? რაში გამოიყენებს ამ შენს კომშებს? წადი მწიფე ლელვი იყიდე და მიართვი, ის უფრო ესიამოვნება.

მოლამ დაიჯერა ცოლის რჩევა, რადგან, რო-

გორც ოსმალური ანდაზა ამბობს: ღედა-კაცის ორ-
მოც რჩევაში ერთი რჩევაა დასაჯერებელიო, იფიქ-
 რა მოლამ და ჰსთქვა: „რადგან დღევანდელი რჩევა
 ჩემის ცოლისა მეორმოცეა, უნდა დავუჯეროვო“. იყიდა
რამდენიმე გირვანქა ლელვი და წავიდა გამგე-
ბელთან. შალაქის გამგებელი, იმისდა საუბედუროდ,
კარგს გუნებაზედ ვერ იყო და გაიგო თუ არა მო-
ლას მიერ ძღვენის მოტანა, უბრძანა, პირში დაახა-
ლეთ თავის მოტანილი ძღვენიო. რაღა თქთა უნდა,
ეს ბრძანება მაშინვე შეასრულეს. მანამ ლელვს ახ-
ლიდნენ სახეში, მოლა უძრავად იდგა, ლმერთს
მადლობასა სწირავდა და თან ამბობდა: „ბარაქალო,
ღედა-კაცო! იცოცხლე, ჩემო ცოლო, იცოცხლე
დიდ-ხანსაო“.

გამგებელს გაუკვირდა, რაღა ჰმადლობს ლმერთსა
და თავის ცოლს რაზედ აქებსო; და მიზეზი ჰკითხა:

— მრავალ წელს უვნებელ და დღე-გრძელ
ბრძანდებოდეთ, ბ-ნო გამგებელოო, უპასუხა მო-
ლამ. მადლობა ლმერთს, რომ ცოლის რჩევას ავეყე-
ვი და მწიფე ლელვი მოგართვიო, თუ რომ კომში
მომეტანა, როგორც წინად მქონდა განზრახული,
მე სულელსა და ისიც ასე სახეში რომ დაგეხალათ,
ახლა ხომ ცვირ-პირი მთლად დამტვრეული მექ-
ნებოდაო.

ბაეცინა გამგებელს და კვლავ დაასაჩუქრა მოლა.

ზედ ავიდა საქადაგებლად და მრევლს დაეკითხა:
 — იცით, მართლ-მორწმუნენო, დღეს რის შესახებ უნდა გელაპარაკოთო?

ბოაცებულმა მრევლმა ერთ-ხმად უპასუხა:

— არ ვიცითო.

— თუ რომ არ იცით, მაშ რაღა გითხრათო, ჰსთქვა მოლამ და ჩამოვიდა საქადაგებლოდგან.

მეორე დღეს კვლავ ავიდა საქადაგებლოზედ და ხელ-მეორედ იკითხა:

— იცით, რის შესახებ უნდა გელაპარაკოთო?

წინა დღეს გაცრუებულმა მრევლმა ეხლა ხერხს მიჰმართა და უპასუხა:

— ვიცით, ვიცითო.

— თუ იცით, ჩემი თქმა რაღა საქიროა, ჰსთქვა მოლამ და გავიდა მეჩითიღგან.

ღაღონებული მრევლი ამბობდა: „ნეტავი რა უნდა ექადაგნა მოლასაო!“.

მესამეჯერ ავიდა საქადაგებელოზედ და ხელ-ახლად იკითხა:

— იცით, მართლ-მორწმუნენო, რის შესახებ უნდა გიქადაგოთო?

ზოგმა „ვიცითო“ დაიძახა, და ზოგმა „არ ვიცითო“.

— მაშ მკოდნეებმა უთხრან არ-მკოდნეებს, რას თქმაც მინდოდაო, ჰსთქვა მოლამ და წავიდა.

ნობის დროს მოლამ შორიდგან დაინახა, რომ რამდენიმე ცხენოსანი უახლოვდებოდა. შეშინდა, ქურდები არ იყვნენ და არ გამცარცვონო, გაიხადა ტანისამოსი და ერთის ქვის ქვეშ ამოსდო, თითონ-კი შიშველი ქვაზედ ჩამოჯდა. შიშისა და სიცივისაგან კანკალცახცახი დაიწყო. ცხენოსნები მართლაც ავაზაკები გამოდგნენ და, როცა მოუახლოვდნენ, მოლას ჰკითხეს: — ამ სიცივეში რასა ზიხარ მაგ ცივს ქვაზედ შიშველიო?

— ბუშინ გარდავიცვალე და ამ სასაფლაოზედ დამმარხეს. აქ იმდენი მკვდრები მარხია და ისეთი სივიწროვეა, რომ ადამიანი სულს ვერ მოიბრუნებს; რომ ველარ გავძელ, გარედ გამოველ წმინდა ჰაერის ჩასაყლაპადაო, უპასუხა მოლამ.

— ავაზაკებს მოლა სულელი ეგონათ და საჩქაროდ გაპშორდნენ.

13

მოლა მასრადინა თაფლსა ჰყიდდა. მართმა კაცმა თეფში მიიტანა და ერთის შაურის თაფლი მოსთხოვა.

მოლამაც, რაც შაურისა ერგებოდა, იმდენი მისცა.

— მართ შაურად, ეს თეფში უნდა ამივსოო, ძალდატანებით ეუბნებოდა მყიდველი.

მოთმინებიდგან გამოსულმა მოლამ უპასუხა:

— შვილო, ამას პატარა ფუტკრები აკეთებენ; მე რომ გამეკეთებინა, მაშინ თეფშს უთუოდ ავიმსებდიო.

14

მოლა მასრადინა აბანოში შევიდა და, რაკი

ნახა, რომ ხალხი არ იყო, დრო იხელთა და ხმა-
მალლა სიმღერა დაიწყო. მოლას ძრიელ მოეწონა
თავისი ხმა (თუმცა ძალიან ცუდი ხმა-კი ჰქონდა),
აბანოდგან გამოსვლის თანავე ავიდა ერთს მახლო-
ბელს მეჩითზედ და აზანი *) დაიძახა.

—**ფუ!** რა საძაგელი ხმა აქვს ამ მოლასაო; —
ჰსთქვა იქ შეკრებილმა ხალხმა.

—**მაგას** როდღია იტყოდითო, უთხრა მოლამა,
—**ამ მეჩითზე აბანო რომ ყოფილიყო და ჩემი ხმა**
მაშინ გაგვეგონათო.

15

ერთი კაცი მივიდა მოლა მასრადინასთან და
უთხრა:

—**შირი** დავკარგე, თუმცა ბევრი ვეძებე, მაგ-
რამ მაინც ვერ ვიპოვნე და, თუ შეიძლება, მეჩითში
ხალხს გამოუცხადე და ჰკითხეო.

მოლა დასთანხმდა, საქადაგებლოზედ ავიდა და
გადმოიძახა:

მრევლნო! შინც თქვენში ყალიონსა და თამბა-
ქოს არ ეწევა, ქეიფსა და დროებას არ ატარებს,
ვსთხოვ, ფეხზედ წამოდგესო.

მრევლთ შორის ერთი წამოდგა ფეხზედ და
დაიძახა:

—**სწორედ** მე გახლავარ ყოველსავე მაგას მო-
შორებულოო.

*) მეჩითზედ საგალობელი, როდესაც მოლა მართლ-
მორწმუნე მაჰმადიანთ სალოცავად იწვევს.



მოლამ მაშინვე დაანახვა ეს კაცი ვირის დამ-
კარგავს და უთხრა:

აგერ, ძმაო, შენი დაკარგული ვირი, აღვირი
გაუკეთე და წაიყვანეო.

16

მრთხელ მოლა მასრადინასა ჰკითხეს:

—ქვეყნის დასასრული როდის იქნებაო?

როცა ჩემი ცოლი მოკვდება, ნახევრად იქნება
ქვეყნის დასასრული და, როცა მე მოკვდები, მაშინ
იქნება სრული ქვეყნის დასასრულიო, მიუგო მოლამ.

17

მოლა მასრადინამ ერთხელ ჯიგარი იყიდა და,
რადგან ჯიგრის გაკეთება იმის სახლობამ არ იცოდა,
გამყიდველმა ასწავლა, როგორ უნდა გაეკეთებინა.

შინ მისვლამდის დარიგება არ დამაფიწყდესო, მო-
ლამ გზაზედ ჯიგარი ერთს ხეზედ ჩამოჰკიდა, და თი-
თონ-კი ცერის ფხილზედ შესანელებელ მასალის სა-
ხელების წერვა დაიწყო. ამ დროს ერთი ყვავი

დააფრინდა ჯიგარს, მოიტაცა და წაიღო. მოლა

დიდ-ხანს გაშტერებით უყურებდა, და შემდეგ უცებ
მოაგონდა ცერზედ დაწერილი მასალა, საჩქაროდ
ალოკა, წაშალა და გაჯავრებით შესძახა ყვავს:

—ცერზედ ნაწერი ხომ წავშალოე, და, შენ თუ
უიმისოდ მოხარშავ და შესჭამ, იმასაც ვნახავო.

18

მოლა მასრადინა სამს კვერცხს ერთ კაპეკად
ჰყიდულობდა და ოთხს ერთ კაპეკათა ჰყიდდა ხოლმე.



— მოლა, აგეთი ვაქრობა და აღებ-მიცემობა შენთვის ხომ ზარალიაო, — უთხრა ერთმა.

— პრა უშავს რა, ოღონდ-კი მტრის თვალმა მნახოს, რომ საქმეში ვარ და ვაღებ-მიცემობო, უპასუხა მოლამ.

19

მოლა მასრადინა აქლემზედ იჯდა და მიდიოდა. აქლემი დაუფთხა ყაყანისა და ხმაურობისაგან, მოლა ძირს ჩამოაგდო და გაიქცა.

— ღაიქითო, გაჰკიოდა დამსხვრეული მოლა: ღაიქით, ჯავრი უნდა ამოვიყაროვო.

— როგორ უნდა ამოიყარო ჯავრიო? ჰკითხა იქ შესწრებულმა ხალხმა.

— როგორ და ისე, რომ რქებს დავაქრი და ყურებში დაუცობ, რომ შემდეგში ხმაურობისა და ყაყანისაგან აღარ დაფთხესო.

20

ერთმა კაცმა მუქაში კვერცხი დამალა, მივიდა მოლასთან და ჰკითხა:

— მოლა! თუ ჰკვიანი კაცი ხარ, გამოიციან, მუქაში რა მიჭირავს? თუ გამოიცინობ, ერთს კვერცხს გაჩუქებო.

— რის მსგავსი რამ არისო? ჰკითხა მოლამ.

— ბარედგან თეთრია, შიგნიდგან ყვით... ჯერ ეს სიტყვა არ დაესრულებინა, რომ მოლა მივარდა, პირზედ ხელი მიაფარა და უთხრა:

— მოიცა, ნუ მეტყვი, გამოვიციან, გამოვიციან!

თაღვამის გული ამოვიღია და შიგ სტაფილოთი ამო-
გვისიაო.

—ვერ გამოიცანო, უთხრა იმან, კვერცხი თავ-
ში დასთხლიშა და გაიქცა.

მოლამ ნახა, რომ კვერცხი იყო და არა თაღ-
ვამი, ლმერთს მადლობა შესწირა და სთქვა:

„თაღვამი რომ ყოფილიყო, ის წყეული კაცი
ხომ თვალს გამომთხრიდაო.

21

მართხელ მოლა მასრადინამ ერთს ექიმსა ჰკითხა:

—რაზედ ატყობთ მკვდარს—მკვდრობასაო?

—როცა ადამიანს ხელ-ფეხი გაუცივდება, ცხა-
დია, რომ მკვდარიაო; უბასუხა ექიმმა.

მართს ზამთრის დღეს მოლა ტყეში წავიდა შე-
შის მოსატანად, თოვლიანი ამინდი იყო და ამიტომ
მცირეოდენის ხნის სიარულის შემდეგ იგრძნო, რომ
ხელ-ფეხი უცივდება.

—მაიმე, ეტყობა, მოგკვდიო, იფიქრა მოლამ,
დედა-მიწაზედ გაიშხლართა და სული ისე გაინაბა,
რომ ფეხიც აღარ გაუნძრევია. ამასობაში იმის ვირი
უპატრონოდ დარჩა. მგლებმა სუნი აიღეს, თავი
მოიყარეს და ვირს გლეჯა-ფლეეთა დაუწყეს. მოლამ
წამოიწია და ჩაილაპარაკა:

—აი, თქვე შეჩვენებულებო, ჩაგიკვდიათ უპატ-
რონო ვირი და, როგორც გინდათ, ისე ჰგლეჯავთ
რალა!... სოცხალი ვიქნებოდე, მე გაჩვენებლით სე-
ირსაო!...

FS

2370

მოლა მასრადინა ქალაქ ღიარბეჭირს მივიდა, რომელიც განთქმულია თავისის დიდრონის საზამთროებით. ბაზარში უშველებელი საზამთროები დაინახა, ექვში შევიდა, ნუ თუ საზამთრო არისო, და ჰკითხა მეხილეს:

— მე რა არისო?

— შირის კვერცხია, აქედგან ჩოჩორი გამოიჩიკებაო, — უბასუხა დაცინვით მეხილემ.

მოლამ დაიჯერა: ეს კარგი ამბავია, იაფ ფასად დამიჯდება ვირიო. იყიდა საზამთრო და გაუდგა გზას სახლისაკენ. მალაქ აქ-შეირს რომ მიუახლოვდა, ბალებთან საზამთრო დაუვარდა, ქვას მოჰხვდა და გასკდა. ამ დროს ქვის ქვეშიდგან კურღელი გამოვარდა და თვით ამ მოლას ბალშივე შევარდა.

— ღაიქით, ჩემი ჩოჩორიაო! ღაიძახა მოლამ, შეჰყვა ბალში და გაჩქარებით ჰკითხა ცოლსა, რომელიც იქვე ბალში დასეირნობდა:

— ჩემი ჩოჩორი ხომ არ გინახავს, ეს-ეს არის შემოვარდა აქაო?

— ახ, რა კარგა გიფიქრია, რომ ვირი გიყიდნია, მაინც აბანოში ვაპირებდი წასვლას და დროზედ მომესწრო. მხლა ვირზედ შევსჯდები და წავალო, უბასუხა ცოლმა.

— აი შე, შეუბრალებელო, შენა, ამ წუთას გამოვარდა კვერცხიდგან და შენ გინდა წელი მოსწყვი-

ტო ჩემს ჩოჩორსაო! დაუყვირა მოლამ და გაჯავრებულმა ცოლს ცემა დაუწყო.

23

მოლა მასრადინას სხვის ბალიდგან ხილის მოპარვა უნდოდა. ჯერ ლობეზე კიბე მიადგა და ავიდა, შემდეგ კიბე ბალში გადასდგა და იქით მხარეს ჩავიდა. ამ დროს მებაღეც წამოესწრო. მოლამ მაშინვე კიბე წამოიკიდა მხარზედ და დაიძახა:

— კიბე გასასყიდი! კიბე.

— შენ აქ რას აკეთებო? ჰკითხა მებაღემ.

— ბრმა ხარ? ვერა ხედავ, რომ კიბესა ვყიდი!..

ბალში დაგვირდება, თუ გინდა, იყიდეო, უპასუხა მოლამ.

24

მართს დღეს მოლა მასრადინას ბალში სხვის ხარი შესულიყო და ხეხილი გაეფუჭებინა. ზაიგო თუ არა მოლამ, ხარს კეტით გამოუდგა, მაგრამ ვერ დაეწია. სალამოზედ შინ დაბრუნების დროს მოლას გზაზედ ურემი შეხვდა და ურემში შებმული ერთი ხარიც იცნო, მაშინვე მივიდა და ხარს ცემა დაუწყო. შეურმემ შეაყენა და გაოცებით ჰკითხა:

— რისთვისა სცემ ჩემს ხარს, რა დაგიშავაო?

— შენ გაჩუმდი! ამან თავისი დანაშაული თითონვე კარგად იცის, და აკი იმიტომ ხმასაც არ იღებსო, უპასუხა მოლამ.

25

მოლა მასრადინამ ცხენზედ შეჯდომა მოიწა-

დინა. ბევრი ეწვალა მაგრამ ცხენი მეტად მაღალი იყო და ვერ შეჯდა; რომ ვერა გააწყო რა, გულდაწყვეტით წამოიძახა:

—„შჰ, შე ოხერო, არ ვარგინარ, თორემ გაგაქენებდიო.“

„შკან მიიხედა და რა ნახა, რომ არავინ იყო ახლოს, ჩუმად დაატანა:

„მჰ, ბარემ გაგაქენებდი, მაგრამ რა ვქმნა, რომ ვერ შემოგახტო“.

26

მოლა მასრადინამ თავის მრევლსა სთხოვა, რომ სიკვდილის შემდეგ ძველსა და ნაოხარს საფლავში დამმარხეთო. ამ უცნაურის სურვილის მიზეზი, რა საკვირველია, ჰკითხეს. მოლამ უბასუხა:

—როცა საფლავში ვიწვები, ანგელოზი მოვადანგარიშს მომთხოვს, მეც ვეტყვი, რომ ანგარიში დიდი ხანია წარმოდგენილი მაქვს-მეთქი, და ამის დასამტკიცებელი საბუთიც ის იქმნება, რომ ძველს სამარეში ვიქმნები დამარხულიო.

27

✓ მოლა მასრადინას შეატყობინეს: შენმა შვილმა ჭკუა-გონება დაჰკარგა და შეშლილსავით არისო. მოლამ წვერზედ ხელი წაივლო და ჩაფიქრდა.

—რას ჩაფიქრდი, მოლაო? ჰკითხეს მეგობრებმა.

—ჩაფიქრდი, რომ ჩემს შვილს ჭკუა და გონება ადრევე არა ჰქონდა, და ეხლა ვერ მომიახრებია, თუ რა უნდა დაეკარგაო.

28

მართელ მოლა მასრადინა ძაძა-ჩაცმული და მძიმე შავებით ქუჩაში გავიდა; ყველას გაუკვირდა და ჰკითხეს:

— მოლა, ვისა ჰგლოვობო?

მაშ არ იცით? თქვენ-კი დღე-გრძელ იყავით, ჩემს შვილს მამა მოუკვდა და იმასა ვგლოვობო, უპასუხა მოლამ.

29

მართს ზამთრის დღეს მოლამ ცხელი წვენი შეხვ-რიბა, პირი დაეწვა, გულ-მუცელ ჩათუთქული სიმ-წარით ქუჩაში გავარდა და დაიძახა:

— ზანზედ, ძმებო, განზედ, მუცელში ცეცხლი გამიჩნდა და არ მოგეკიდლოთო!

30

მოლა მასრადინას ნაცნობმა, ახალგაზდებმა პირი შეჰკრეს, მოლას ხარჯით აბანოში წავიდეთო, და ისიც თან წაიყვანეს. შველამ თითო კვერცხი მალვით თან წაიღო. აბანოში ერთმა იმათგანმა ჰსთქვა:

— აბანოს ფული იმან მისცეს, ვინც ქათმის კვერცხს ვერ დასდებსო.

შველანი ჩაქუქდნენ და მალვით მუკაში შენა-ხული კვერცხი ძირს დააგორეს. მოლამ კვერცხები დაინახა თუ არა, მაშინვე ტახტზედ შეხტა და დაი-ძახა: „ყიყლიყო“!

— რას ჩადი, მოლაო? ჰკითხეს ახალგაზდებმა.

— ამდენს ქათმებში მაშ ერთი მამალი არ უნდა ერიოსო! უპასუხა მოლამ.

31

მრთს დღეს მოლა მასრადინა და იმისი ერთი შევირდი სანადიროდ წავიდნენ. ნადირობაში დათვის ბუნაგს მიაღდნენ.

— აბა შეძვერ ბუნაგში და ნახე, შიგ დათვი არის, თუ არაო, უთხრა მოლამ შევირდს.

შევირდი ბუნაგში შევიდა თუ არა, ამ დროს შორიდგან მომავალი დათვიც გამოჩნდა. მოლამ ბუნაგში მიმავალ დათვის კუდში ხელი მაგრად წააგლო და ბუნაგში არ უშვებდა. ამ ქიდაობაში ბუნაგი მტვრით აივსო, და მტვრისაგან შეწუხებულმა შევირდმა მოლას გამოსძახა:

— მოლა, აგრე რათ ამტვერდა, ლამის მტვრისაგან დავირჩოვო!

— თუ დათვის კუდი ხელში არ მეჭიროს, მაშინ ნახავ ამტვერებასაო, შესძახა მოლამ.

32

✓ მოლას, სასაფლაოზედ სიარულის დროს, ფეხი გაუსხლტა და ერთს ძველს საფლავში ჩავარდა.

„ახლა-კი მოვკდი და, აბა ვნახოთ, სულთა-მხუთავი მოვაო?“ იფიქრა მოლამ და თვალები დახუჭა. ამ მოლოდინში ზარის ხმაც მოესმა.

„მს არის მოდისო“, და საფლავიდგან თავი წამოჰყო მოლამ. სასაფლაოს ახლო გზაზედ თურმე შეუშეულით დატვირთული ქარავანი დაეყენებინათ და-



სასვენებლად, რა უცბად ჯორებმა მოლა დაინახეს, დაფთხნენ, ერთმანეთს დაეჯახნენ და კურქელი მიღეწ-მოღეწეს. შექარვანები მისცვივდნენ მოლას, დაიჭირეს და ჰკითხეს:

—აქ რა გინდა, შე წვერ ფანფარავ, რისთვის დამალულხარ?

მ... მე... მკვდარი ვარ... ცოტა ხანს სასეირნოდ გამოველ საფლავიდგანაო,—კანკალით უპასუხა მოლამ.

მიდგნენ შექარვანები, კარგად მიეყეეს, ცოცხალ-მკვდარს თავი დაანებეს და მისძახეს:

—წადი და ახლა ისეირნეო.

დაეყეილმა და თავ-პირ სისხლიანმა, მოლამ, როგორც იყო, სახლს მიაღწია და მკვდარივით დაეცა.

—რა დაგმართვია, ეგ რა ყოფაში ხარ, სად იყავიო? ჰკითხა ცოლმა.

—მოვკვდი, საიქიოს ვიყავ და ახლა იქიდგან მოვდივარო, უპასუხა მოლამ.

—როგორ მოგეწონა საიქიო?

—პრა უჭირს რა. მხოლოდ ვაი იმასა, ვინც კურქლით დატვირთულს ქარავანს დააფთხობსო.

33

მრთს დღეს მორთული მოლა სხვაგან სტუმრად წავიდა; გზაზედ წყალი მოსწყურდა, მივიდა ერთს წყაროსთან და ნახა, რომ, ხრახნილის მაგიერ, წყაროს პირში ერთი ხე დაუცვიათ, რომ წყალმა უბრალოდ არ იდინოსო. მოლამ ის ხე ერთბაშად

გამოაძრო. შეგუბებული წყალი შხრიალით წამოვიდა და მოლა თავით ფეხებამდე მთლად გასწუწა. მოლას ჯავრი მოუვიდა და სთქვა:

— მხლა-კი მივხვდი. აბა სწორედ აგეთის გიჟ-მაჟობისათვის დაუცვიათ შენს ხახაში ეს ხეო! და საჩქაროდ მოშორდა.

34

✓ მოლა მასრადინას სახლში ქურდები შევიდნენ და, რასაც მოასწრეს, წაიღეს. მოლა შემთხვევით გზაზედ შეხვდა იმათ. და თავისი სახლის ავეჯულობა იცნო. საჩქაროდ წავიდა შინ, თითონაც ერთს ნაალს დაავლო ხელი, გაახვია და იმათ გაჰყვა. ქურდები ერთს სახლში მივიდნენ, ნაპარევი დააწყეს და მოსასვენებლად წამოწვნენ. მოლაც შეჰყვა, თავისი ნაალი ძირს დაავლო და ჩამოჯდა დასასვენებლად. ზოცებული ქურდები დაეკითხნენ:

— რაო! რისთვის მობძანდი?

— როგორ თუ რისთვის? ბანა აქ არ გადმოვსახლდი? ეს არ იყო, ჩემი ბარგი თქვენ გადმოიტანეთო?

35

ზამთრის ერთს ცივსა და წვიმიან დღეს მოლა მასრადინას საცხოვრებელს ქალაქს აქ-შეირს ერთი მწირი ვინმე მივიდა. მოლამ, ნახა თუ არა ეს უცხო კაცი, მაშინვე თავის სახლში მიიწვია. მგზავრი გზა-და-გზა ორთქლით ხელებს ითბობდა და ისე მისდევდა მოლას.

— მაგას რას შვრებიო? ჰკითხა მოლამ.

— ხელებზედ მცოვა და ვითბობო, უპასუხა მგზავრმა.

როცა შინ მივიდნენ და სადილად დასხდნენ, სტუმარმა კოვზით აღებულს წვეწვს გასაგრილებლად ბერვა დაუწყო.

ახლა რილასთვის სჩადიხარ აგრეო? ჰკითხა კვლავ მოლამ.

— რადგან წვეწვი ძალიან ცხელია, ვუბერავ, რომ გაგრილდეს და ისე შევხვრიბო, უპასუხა სტუმარმა.

მოლას ჯავრი მოუვიდა და უთხრა: „აღეჟ, შე შეჩვენებულო, ჩქარა დაიკარგე აქედგან, მე იმისთანა სტუმარს ვერ შევინახავ, რომლის პირი ხან ცივს ათბობს და ხან ცხელს აგრილებსო! და საწყალი მგზავრი ცივ-ცივად გაისტუმრა.“

36

მოლა მასრადინას თავისი მეუღლე მუდამ ყვედრებით ეუბნებოდა:

„შე საბრალო, შენგნით სულ გაუბედურებული ვარ. ზულით მინდოდა, ერთხელ მაინც წყლის პირას, მწვანეზედ დროება გამეტარებინა, მაგრამ არ იქმნა ვერ ველირსეო.“

შვედრებით მობეზრებულმა მოლამ ერთს დღეს ცოლი მხარზედ შეისვა, პირ-და-პირ ბაღში შეიყვანა, წყლით სავსე თაბახი წინ დაუდგა და შესძახა:

აჰა, შე დაუნახაო, წყლის პირას ხარ, და მწვანეზედ ზიხარ, ახლა დროება გაატარე და აღარა



ჰსთქვა, რომ, დროება არ გამიტარებია მწვანეზედ და წყლის პირასაო.

37

მოლა მასრადინამ ერთს დღეს რავდენიმე საზამთრო იყიდა და ტყეში წავიდა შეშის საქრელად, ღალალულს მოსწყურდა, აიღო ერთი საზამთრო, გასჭრა, შემდეგ მეორე გასჭრა, მესამე და დანარჩენიც, მაგრამ არც ერთი არ ვარგოდა: ზოგი მკვახე იყო და ზოგი—ლაყე და უგემური. ბაჯავრებულმა მოლამ ზედ დააფურთხა ნახევრად გაჭრილს საზამთროებს და ფეხით დაუწყო სრესა. შემდეგ, კვლავ მუშაობა დაიწყო. ღალლილი და დაქანცული მოლა წყურვილმა უფრო შეაწუხა; მივიდა იქ, სადაც ნახევრად მიწაში გათხუპნული საზამთროები ეყარა, აიღო თითო თითო ნაჭერი, ჰამა დაუწყო და თავის თავად ამბობდა:

შგონებ, ჩემი ფურთხი ამას არ მოხვედრია, ეს ნაჭერი არ გამისრესია, ეს ნაჭერი არ არის გათხუპნულიო. ამ თავის დაშოშმინებაში მოლამ თავის მიერ დაწუნებული საზამთროები სულ გაათავა.

38

მოლა მასრადინამ რამდენიმე გირვანქა ბამბის ძაფი იყიდა, გამხმარ ვირის თავზედ დაახვია და ყაზაზთან წაიღო გასასყიდად. შაზაზს, გორგალი ხელში აიღო თუ არა, ემძიმა და ექვ-აღებით უთხრა:

—მოლა, ეს გორგალი მძიმედ მეჩვენება როგორღაც და შიგ ქვა-კი არ იყოს ჩატანებულიო!

— რას გაგიყებულხარ, ქვა-კი არა, ვირის თავიო, უთხრა მოლამ და ხუმრობაში გაატარა; როგორც იყო, მიჰყიდა, ფული გამოართვა და წავიდა. საღამოზედ ყაზაზმა გორგალი გამოახვია და ჰნახა, რომ მართლა ვირის თავი იღო შიგ. შაზაზმა მოლას უჩივლა. როცა მოლა დაიბარეს სასამართლოში და ჰკითხეს; მიუბრუნდა ყაზაზს და უთხრა:

— როცა შენზედ ვყიდდი, შენ არ მითხარ, „შიგ ქვა არ იყოს ჩატანებულიო“? და მე შენ არ გიპასუხე, რომ „ქვა-კი არა, ვირის თავია“ მეთქი. ამ გვარად თავი გაიმართლა მოლამ.

39

მოლა მასრადინას ერთი მსუქანი ყოჩი ჰყავდა. იმისმა მეგობრებმა პირობა შეჰკრეს, როგორმე ოსტატობა ვიხმაროთ და შევეუქამოთ ეს ცხვარიო.

— იცი, მოლა, ხვალ თუ არა, ზეგ ქვეყანას ბოლო უნდა მოეღოსო, უთხრა ერთმა მათგანმა. მოლამ არ დაუჯერა. რა საკვირველია, შემდეგ ესევე უთხრა მეორემ, მესამემ და მეოთხემ, და რა ნახეს, რომ მოლა დარწმუნდა, განაგრძეს:

„რისთვის-ღა გინდა ეს ცხვარი, რომ ინახავ, მოდი დავკლათ და ერთი კარგი დროება გავატაროთ უკანასკნელად, თორემ ეს ცხვარიც აქ დაგრჩებაო“. მოლა დაითანხმეს, ქალაქის გარედ გავიდნენ, ერთს მდინარის ახლოს ცეცხლი დაანთეს, საჭმელებისა და სამწვადეების მზადება დაიწყეს, თან ღვინი და ცეკვა გამართეს. საღილის წინად მოლას



მეგობრებმა ბანაობა მოინდომეს, და სთხოვეს მოლასაც, რომ „იბანავე ჩვენთანაო“. მოლამ უარი უთხრა ცურვის უცოდინარობის გამო და ამასთანავე მიხვდა კიდევ, რომ ამათ მე ხრიკი მიგდეს, გამასულელდეს და ყოჩი ეშმაკობით დამაკვლევინესო. როცა იმათ ტანისამოსი გაიხადეს და დაიწყეს ბანაობა, გაჯავრებულმა მოლამ იმათი ტანისამოსი მოაგროვა და ცეცხლში დასწვა. როცა გამოვიდნენ მობანავენი წყლიდგან და ჰნახეს თავიანთი ნაცრად ქცეული ტანისამოსი, შესძახეს:

— მსენი რად დაგიწვამს, ახლა რა უნდა ჩავიცვათო?

— რალათ გინდათ ჩაცმა და დახურვა, თუ-კი, ხვალ არა, ზევ ქვეყნის დასასრულია და ყველანი უნდა დავიხოცნეთო, უპასუხა მოლამ.

40

მოლა მასრადინამ თავის ქათმებს შავი მაუდის ნაჭრები ჩამოჰკიდა და ისე გაუშვა.

— მოლა, ეს შავი ნაჭრები რას ნიშნავსო? ჰკითხეს მეზობლებმა.

— იმასა ნიშნავს: დეე ყველამ შეიტყოს, რომ ჩემს ქათმებს მშობელი დედა გარდაეცვალოთ და ახლა მგლოვიარედ არიანო, უპასუხა მოლამ.

41

მოლა მასრადინას, ცოლი ძალიან ავად გაუხდა.

— მეუღლე როგორა გყავსო? ჰკითხეს მეზობლებმა.

— ბუშინ გარდაიცვალა, მხოლოდ დღეს-კი ცოტად უკეთ არისო, უპასუხა მოლამ.

42

მოლა მასრადინას ერთხელ ვირი მოჰპარეს.

„მადლობა ღმერთს, მადლობა ღმერთს“, იძახდა მოლა.

— რად სწირავ ღმერთს მადლობასაო? ჰკითხეს ნაცნობებმა.

— იმიტომ, რომ მე ზედ არ ვიჯექი, თუ რომ ზედ ვმჯდარვიყავ, მეც ხომ მომიპარავდნენ ვირთან ერთადო, უპასუხა მოლამ.

43

ერთხელ მოლა მასრადინასთან ერთი უცნობი კაცი მივიდა სტუმრად. მოლა კარგად გაუმასპინძლდა სტუმარს და წასვლის დროს ჰკითხა:

— უკაცრავად, შენი ჰირიმე, კითხვა საწყენად არ მიიღოთ: თქვენ ვინა ბრძანდებითო?

საკვირველია! თუ-კი არ მიცნობდი, მაშ აგრე გულ-კეთილად რად გამიმასპინძლდი?

— რადგან შენი ჩალმა *) ჩემს ჩალმასა ჰგავდა და შენი ჯუბა *) ჩემს ჯუბას, ჩემი თავი მეგონე, იმისთვის გემასლაათე და გაგიმასპინძლდიო, უპასუხა მოლამ.

44

მოლა მასრადინასთან მეზობელი მივიდა და თოკი სთხოვა.

*) თავზედ მოსახვევი, ფასის ზემოდამ.

**) შარაჯა მოლებისა.

—ვერ გათხოვებ, მე თითონ მქირია, ზედ ხორბალი უნდა დავყარო და გავაშროო, უთხრა მოლამ.

—აბა ეგ რა სათქმელია, თოჯხედ ხორბალი როგორ დაიყრებაო?

—როცა თოჯის თხოვება არ მინდა, ხორბალი-კი არა, ფქვილიც გაიფინება ზედაო, უპასუხა მოლამ.

45

მოლა მასრადინას, ერთმა ახლო ნაცნობმა ჰკითხა?

—შენ ცოლს სახელად რა ჰქვიან?

—ჯერ არც მე ვიციო, უპასუხა მოლამ.

—როგორ! ძაცმა თავის ცოლის სახელი არ იცოდეს, განა შესაძლებელია?

—რატომ! რადგან ერთად ცხოვრების სურვილი არ მქონია, არც სახელი მიკითხავსო, უპასუხა მოლამ.

46

მოლა მასრადინამ თავისი ქათმები ერთს გალიაში შეჰყარა და სივრი-ჰისარ ქალაქში წაასხა გასასყიდად. ზხაზედ შეეცოდა ფრინველები და გამოასხა, ცოტა სუფთა ჰაერი ჩაყლაპონო; მხოლოდ მამალი-კი ისევ დამწყვდია და არ გამოუშვა. ქათმები სხვა და სხვა მხარეს დაიქსაქსნენ. მოლამ უცადა ერთს საათს, უცადა ორს საათს, მაგრამ, არც ერთი ქათამი უკან აღარ დაბრუნდა.

—სად წავიდნენ ქათმები, მალე დაბრუნდებიანო?

—დაეკითხა მოლა მამალს. მამალმა რომ პასუხი არ

გასცა, გაჯავრებულმა შოლამ წკებლას წამოავლო ხელი და, ერთი თუ ორი, მიაყოლა მამალს:

—თუ ის იცი ადრევე, როდის გათენდება, მაშ ახლა არ იცი, სად წავიდნენ შენი ცოლები, რომ არ მიპასუხებო?

47

მრთს დღეს შოლა მასრადინამ თავისთვის გომურის გაკეთება მოინდომა. მიწის მოთხრის დროს იქამდე ჩათხარა, რომ მეზობლის გომური გამოჩნდა. ნახა, რომ ერთი ხროვა ძროხა იყო, ამ გომურში, სიხარულისაგან აღტაცებულმა შოლამ სამი-ოთხი კიბე ერთბაშად აირბინა, მივიდა ცოლთან და ახარა:

—ადექ, დედა-კაცო, ადექ, რას ზიხარ, წამომყევ, ერთი საკვირველი რამ გიჩვენო.

—რა დაგემართა, რა ამბავია, მითხარ რალა! ზკუაზედ ხომ არ ატაცებულხარ?

—რალა რა ამბავია, ძველ დროიდგან დარჩენილი, ერთი მზა-მზარეული, ძროხებით სავსე გომური ვიპოვნე დედა-მიწის ქვეშაო, უპასუხა შოლამ ცოლსა.

48

შოლა მასრადინას ძლიერ გამხდარი და უწველელი ძროხა ჰყავდა; ქერისა და ბზის ჭმევა რომ მოსწყინდა, ბოლოს დააპირა გაყიდვა, გაიყვანა ბაზარში და ერთს დალაღს მისცა გასასყიდად. დალაღმა მოჰკიდა თოკის წვერს ხელი და ხმა მალლა დაიწყო ძროხის ქება:

—ასეთი მსუქანი არის ეს ძროხა, ასეთი ქონიანია, ღღეში ორ-სამ თუნგს რძეს იწველის და სხვა...
 მძალი ამ დროს მიუახლოვდა დალაღს და უთხრა:

—ძმაო, როგორც შენ აქეხ, თუ რომ მართლა აგრე კარგი ძროხაა, აღარ გავყიდი მაგას, ისევ სახლში წავიყვანო.

49

მართხელ მძალი მასრადინამ სასაფლაოსკენ გაიარა და ჰნახა, რომ იქ ერთი დიდი ქოფაკი ძალი იწვა. უშველებელს ქვას წამოავლო ხელი და უნდოდა ესროლა, მაგრამ ძალიმა ღრენა და კბილების ღრქენა დაუწყო. შეშინებულმა მძალი უკან დაიხია და სთქვა:

—მოდო, გაიარე, შენ ყოჩალი ხარ, შენ კარგი ხარ, შენ ალა ხარ, სხვა რაღა გინდა, ეხლაც არ დამეხსნებიო!

50

მართს ღამეს მძალას სახლში ქურდი შეიპარა.

—ადექ, მძალი, ქურდი შემოსულაო, უთხრა ცოლმა.

—ღეე, მაგან წასაღები რამე იპოვოს და მერე ხელიდან წართმევა ჩემი ვალი იყოასო, უპასუხა მძალი.

51

მძალი მასრადინამ ერთხელ ერთის ტბის ახლოს გაიარა და დაინახა მთელი ხროვა გარეულ იხვებისა. მოინდომა დაქერა, მაგრამ იხვები გაფრინდნენ.

რადგან ძლიერ გულით უნდოდა მოლას იხვის წვენიტ ჩამეტკბანურებინა პირი, იმედ გადაწყვეტილი იქვე დაჯდა, ტბის პირას, აწობდა პურს ტბაში და სჭამდა.

— რას შვრები, მოლაო? ჰკითხა ერთმა გამვლელმა.

— მხლა რომ იხვები გაფრინდნენ, იმატ წვენსა ვსჭამო, უპასუხა მოლამ.

52

მოლა მასრადინას თავისმა მეზობელმა ვირი სთხოვა.

— შინ არ არის, გუშინ წისქვილში წაიყვანესო, უთხრა მოლამ.

ამ ლაპარაკში ვირმა ბოსელში დაიყოყნა.

— არა გრცხვენია, მოლა! ვირი აქა გყოლია და შენ-კი ტყუილს ლაპარაკობო, უთხრა მეზობელმა.

— რატომ შენ არა გრცხვენია, რომ რეგვენი ვირის ყროყინი გჯერა და ჩემისთანა ქალარა წვერიანის კაცის სიტყვა-კი არაო, მიუგო მოლამ.

53

მოლა მასრადინას ორი გათხოვილი ქალი ჰყავდა: ერთი მეაგურეს ცოლი იყო და მეორე მხენელისა. მრთს დღეს ორივენი მამის სანახავად მივიდნენ, სხვათა შორის მამამ ჰკითხა ქალებს:

— შვილებო, ხომ იოლად მიდინხართ, კარგად გაცხოვრებსთ თქვენი ქმრები?

— ჩემმა ქმარმა უთვალავი აგური გააკეთა, თუ რომ ჩემს ბედზედ ავდარი არ მოვიდა, საბაირამოდ

ერთი ხელი კარგი ტანისამოსი უნდა შემეკეროსო, უთხრა პირველმა.

ჩემმა ქმარმაცაო, ჰსთქვა მეორემ: დიდ-ძალი მარცვალი დასთესა, თუ ლმერთმა ინება და წვიმიანი დღეები დაიჭირა და გვალვა არ იქნა, კარგი მოსავალი მოგვივა. მაშინ ერთი კარგი ქათიბი უნდა შემეკეროსო.

მოლამ წვერზედ ხელი ჩამოისვა და ჩაილაპარაკა:

— ამ ერთის ქირი მეორის ლხინი ყოფილა და ორივეს ბედნიერად რალა აცხოვრებთო!

54

რამაზანის უკანასკნელ დღეებში მოლას სივრი-
შისარ ქალაქში მოუხდა წასვლა. როცა მივიდა, ჰნა-
ხა, რომ მეიდანზედ ხალხი მოგროვილიყო და მთვა-
რეს უყურებდა*) მოლა მივიდა ახლოს და სთქვა:

— ვაჰ, ეს რა საბრალო და საწყალი ხალხი ყოფი-
ლა, ამ ერთი ბეწვა მთვარეს რა დიდის გაკვირვებით
შესტკერიან! ჩვენ ქვეყანაში გორგოლაქის ოდენა
გახდება ხოლმე და ზედაც არავინ უყურებსო.

55

მოლამ თავისი ვირი ბაზარში წაიყვანა გასას-
ყიდად. შზაზედ ვირს კუდი ტალახში ამოეთხუპნა.
მოლამ იფიქრა: „ვირს კუდი გაუტალახიანდა და ვი-
ლა იყიდისო“. ძუდი მოსკრა და ხურჯინში ჩააგდო.

*) რადგან რამაზანის ბოლო დღეები იყო, მთვარის და-
ბადებაც უყურებდნენ, რომ მთვარის პირველს უნდა ბაირამი
შემეწებოთ.



ზაზარში ვირს მუშტარი ბევრი გამოუჩნდა, მაგრამ ყველამ უკუდობის გამო დაიწუნა.

ბოლოს ერთმა ჰსთქვა:—უკუდო რომ არ ყოფილიყო ვიყიდდიო.

—შენ ფასს მომირიგდი და ეგ ადვილია, კუდი შორს არ არის ხურჯინში გდიაო, უპასუხა მოლამ.

56

მრთხელ მოლა მასრადინამ მეზობლისაგან ქვაბი ითხოვა. რამდენიმე დღის შემდეგ თავისი პატარა ქვაბი შიგ ჩასდო და პატრონს უკანვე დაუბრუნა.

—ეს რაღა პატარა ქვაბი დევს შიგაო? ჰკითხა მეზობელმა.

—მე პატარა ქვაბი შენმა ქვაბმა ჰშობაო, უპასუხა მოლამ.

ქვაბის პატრონს ძალიან ესიამოვნა, აიღო ორივე ქვაბი და წავიდა.

მეორეჯელ კვლავ მივიდა მოლა თავის მეზობელთან და ქვაბი ითხოვა. მეზობელმაც, რასაკვირველია, დიდის სიხარულით გამოუტანა ერთი დიდი ქვაბი და ათხოვა.

ზაიარა რამდენიმე დღემ, მხოლოდ მოლამ ქვაბი პატრონს უკან აღარ დაუბრუნა. მეზობელი მივიდა მოლასთან და ჰკითხა:

—რა უყავ, მოლავ, ჩემი ქვაბი, აქამდის რად დამიგვიანე?

ოჰ, სამწუხარო ამბავი უნდა გითხრა: შენმა

ქვაბმა შენი ქირი წაიღო, გარდაიცვალაო, უპასუხა მოლამ.

— როგორ თუ გარდაიცვალა, ქვაბის სიკვდილი სად გაგონილა და ან როგორ შეიძლებაო! გაკვირვებით წამოიძახა მეზობელმა. რატომაც არ შეიძლება, თუ-კი ის შეიძლება, რომ ქვაბს შვილი მიეცეს, სიკვდილიც შესაძლებელი უნდა იყოსო. მაშინ ქვაბის დაბადება გჯეროდა, ახლა სიკვდილი რატომ არა გჯერაო? უთხრა მოლამ.

57

მრთხელ მოლა მასრადინა წვეულობაში დაპატიჟეს. მრთი გახუნებული ფარაჯა ჩაიცვა და ისე წავიდა. ჰნახა, რომ ღირსეულად არ მიიღეს და ყურადღება არ მიაქციეს, უკან დაბრუნდა ახალს ტანსაცმელში გამოეწყო, კარგად მოირთო და ისევ მივიდა. მხლა-კი ღიდის პატივისცემით დაუხვდნენ, ალერსიანად მიეგებნენ და უთხრეს:

„მობძანდით, მოლა ბატონო, მობძანდითო“. როდესაც სუფრაზე დასხდნენ და საქმელი მოიტანეს, მოლამ ფარაჯის კალთის წვერი საჰანში (სპილენძის თეფშში) ჩააწო და ჩაილაპარაკა:

— მიირთვი, პატივცემულო ფარაჯავ! მიირთვი თავაზის ღირსო ფარაჯავ!

— რას შერები, მოლაო? ჰკითხა გაკვირვებულმა მასპინძელმა.

— არაფერს, ჩემს ფარაჯას მოვახსენებ, პატივი შენა გცეს და აბა მიირთვი მეთქი.

58

მრთხელ მოლას ერთმა ნაცნობმა ვირი სთხოვა წისქვილში წასაყვანად. მოლას არ უნდოდა ვირი ეთხოვებინა, ვერც უარი უთხრა და მოიმიზება:

— მოითმინე, ვირსა ვკითხავ, თუ წამოგყვება, დიდის სიხარულით გათხოვებო.

შევიდა მოლა ბოსელში, ცოტა ხნის შემდეგ უკან დაბრუნდა და მოახსენა თავის ნაცნობს:

— ბევრი ვეხვეწე, მაგრამ ვირი არ დათანხმდა სხვასთან წასვლას, პირ-იქით შემომჩივლა კიდევ: „შენ რომ სხვას მათხოვებ ხოლმე, ჯერ ერთი, შეუბრალებლად მეკიდებიან—მცემენ, და ამას გარდა, პატრონსა, პატრონის დედ-მამას და ცოლ-შვილსაც მივინებენო“.

59

მრთს ქალაქში მივიდა მოლა მასრადინა და ჰნახა, რომ ყველანი უხვად სვამდნენ, სჭამდნენ, მღერითა და თამაშობით დროებს ატარებდნენ. მოქეიფებმა მოლაც მიიწვიეს.

— რა გულ-კეთილი ხალხი და უხვი ქვეყანა ყოფილა ესა! ხვალვე წავალ და ჩემს ცოლ-შვილს აქ წამოვიყვანო, სთქვა მოლამ.

— ღიად, თუ მოიყვანე, მუცელი გაგიძღება; დღეს იმიტომ არის ყველა ასე გულ-უხვად, რომ ჩვენი ბაირამიაო, უთხრეს მოლას.

—**მე** აგრეა, რატომ ყოველ დღე ბაირაშს არ ინახავთო? იკითხა **მოლამ**.

60

მოლა ვირით სხვაგან მიდიოდა, რილასთვისაც ჩამოხტა, თავისი ფარაჯა კურტანზედ გადააკეცა ვირს და თითონ იქავე გზას შეუხვია. როცა უკან დაბრუნდა, ჰნახა, რომ ფარაჯა აღარ იყო. ბაჯავრებულმა **მოლამ** ვირს კურტანი მოჰხადა და დაუყვირა:

—**მე**, შე ქურდო, შენა!.. მომეცი ჩემი ფარაჯა, თორემ მეც შენს კურტანს არ დაგანებებ და აგრე შიშველს გატარებო.

61

მოლამ თავისი ვირი საძოვრად გაუშვა და თითონ-კი ტყეში შევიდა შეშის მოსაპარად. რამდენისამე ხნის შემდეგ **მოლას** ტყეში რაღაც ხმაურობა მოესმა, ტყიდგან გამოვიდა და ჰნახა, რომ იმის ვირს მგელი ჰგლეჯდა. მიღაც უცხო კაციც შორი-ახლოს იდგა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გაჰკიოდა: „მოეშველეთ, მოეშველეთ, მგელმა ვირი შეჭამა“.

მოლამ გაჯავრებით დაუყვირა:

—**შე** სულელო, მგელი, თუ სჯამს, ჩემს ვირსა სჯამს! შენსას რასა სჯამს, რომ მაგ სულელურის ყვირილით ლამის მთელი სოფელი თავს დამახვიოო!..

62

მართხელ **მოლა** მასრადინა ვირით ერთს შორს

სოფელში წავიდა. სიცხისა და დაღლილობისაგან შეწუხებულმა ვირმა, შორი-ახლო ერთი წყლის გუბე დაინახა თუ არა, თავისი მხედარი ძირს ჩამოაგდო და თითონ გუბისაკენ გაიქცა წყლის დასაღევად; თურმე ის გუბე ბაყაყებით სავსე იყო, ვირის დანახვაზედ ბაყაყებმა ყიყინი მორთეს, ვირი დაფთხა და უკან დაიხია. ამ დროს მოლაც მივიდა გუბესთან და გაეხარდა, რომ ჩემი დამნაშავე ვირი ბაყაყებს დაუსჯიათო, ამოილო ჯიბიდგან რამდენიმე ყურუში (შაური), გუბეში ჩაჰყარა და ჩასძახა:

—ბარაქალა, ქაობის იადონებო, მადლობელი ვარ, რომ ვირი გამიწურთნეთ, აჰა ეს ფული აიღეთ, ხილი იყიდეთ და სჭამეთო.

63

მრთს ღამეს მოლა მასრაღინა სტუმრად დარჩა ერთს თავის ნაცნობის სახლში. შუალამისას გამოღვიძა და სანთელი მოსთხოვა მასპინძელს.

—სანთელი მანდ არის, შენს გვერდით, და წუმწუმაც მარჯვენა მხარესა სძევს, გაისარჯე და მოუკიდეო, უთხრა მასპინძელმა.

—საკვირველი აღამიანი ხარ! ამ ბნელაში მარჯვენა და მარცხენა მხარისა რა უნდა გავიგოვო? გაიოცა მოლამ.

64

მრთხელ იმ ქვეყნის მმართველმა, საცა მოლა მასრაღინა სცხოვრობდა, მოლა დოღში მიიწვია. მოლამ იმ წამსვე შეჰკახმა თავისი ხარი, შეჯდა და გას-

წია. ღინახა თუ არა მმართველმა ხარზედ ამხედრობული მოლა, გაეცინა და ჰკითხა:

— რაზედ შემჯდარხარ, ეგ ხომ ვერ გაქენდებოა?

— რატომოა, უპასუხა მოლამ. როცა ჯერ მოზვერი იყო, მაშინ უნდა გენახათ ამისი გაქცევა, რომ ვერც ერთი ცხენი ვერ გაასწრობდა ხოლმეო.

65

მრთს ზამთრის ღამეს მოლას სახლის მახლობლად ქუჩაში დიდი ჩხუბი და ყაყანი ასტყდა.

— ადექ, გადი ნახე, ვინ არიან, ან რა აჩხუბებთო, უხრა ცოლმა.

მოლა წამოდგა ლოგინიდგან, საბანი წამოისხა და ისე ქუჩაში გავიდა. იმ არეულობაში ვილამაც მოლას საბანი მოსტაცა და გაიქცა. ამასობაში ჩხუბიც მორჩა და ხალხიც დაიშალა. თეთრეულის ამარად დარჩენილი მოლა სიცივისაგან კანკალ-ცახცახით შინ დაბრუნდა.

— რა ჰქონდათ საჩხუბარიო? ჰკითხა ცოლმა.

— ჩემი საბანიო, უპასუხა მოლამ: საბანი წაიღეს თუ არა, მაშინვე ჩხუბსაც თავი დაანაბეს და წავიდ-წამოვიდნენო. ✓

66

მოლამ ერთი ბატი შესწვა და თემურ-ლენგს წაუღო ძღვნად, რომელსაც სწორედ იმ ხანებში დაეპყრო ის ქალაქი, სადაც მოლა სცხოვრობდა. მზაზედ მოლას ბატის ხორცის ჰამა ძალიან გულით

შოუნდა, აილო, ერთი ფეხი მოსჭრა და შეექცა.
 თემურ-ლენგმა ცალ-ფეხა ძღვენი საწყენად მიიღო, დაიბარა მოლა და განრისხებითა ჰკითხა:

—სადა აქვს ამ ბატს ცალი ფეხიო?

—აქ, ჩვენში, ბატები ცალ-ფეხიანი არიანო, ვაიმართლა თავი მოლამ: თუ მე არ დამერწმუნებოთ, ავერ შეჰხედეთო, და ამ დროს წყლის პირას გუბეში ცალ-ცალ ფეხზედ მდგომარე ბატები დაანახა.

თემურ-ლენგმა ერთს სპილენძის თეფშს წამოავლო ხელი და ბატებს ესროლა. შიშისაგან დამფრთხალი ბატები წამოიშალნენ და, რასაკვირველია, ორივე ფეხი გამოიჩინეს.

—აბა, შეხე, ორი ფეხი აბიათ, თუ ცალიო?

—შართალია!.. მხოლოდ, თქვენთვისაც რომ ესროლათ ის თეფში, ვინ იცის, იქნება თქვენ უფრო მეტი ფეხი გამოგბმოდათო, უპასუხა მოლამ.

67

მოლა მასრადინამ ქალი გაათხოვა. როდესაც მაყრებს პატარძალი მიჰყავდათ, ამ დროს მოლას უცებ რაღაც მოაგონდა, საჩქაროდ გაიქცა, მაყრებს დაეწია და გამოუცხადა, ჩემის ქალისათვის ერთი საჭირო დარიგება უნდა მიმეცა და კინალამ დამაფიწყდაო. შემდეგ მივიდა თავის ქალთან და უთხრა:

როდესაც საკერავის კერვას იწყობდე, ჯერ ძაფს წვერი შეუკვანძე და ისე ამოუგდე ნემსი,

თორემ კვანძ შეუკვრელად ნემსს ამოსწევ თუ არა, დაფი საკერავს გამოსხლტება და სახტად დარჩებოდა.

68

მოლას ცოლმა—ქმრის ფარაჯა გარეცხა, წაიღო ბალში და ერთს ხის ტოტზედ გაჰფინა. როცა მოლა სალამოზედ შინ მივიდა, პირ-და-პირ ბალში შევიდა და შორიდგან მკლავებ-გაშლილი ფარაჯა ბნელაში კაცად ეჩვენა და იფიქრა: „მს ვილაც არის, ქურდი იქნება სწორედო“. მოლამ აიღო თოფი და დაახალა. შემდეგ მივიდა ახლოს და ჰნახა, რომ, ქურდი-კი არა, იმისი საკუთარი ფარაჯა იყო გადაფენილი.

—მადლობა ღმერთს, რომ მე ფარაჯაში არ ვიყავ, თორემ ეხლა საიქიოს ვიქნებოდოდა, ჰსთქვა მოლამ.

69

მრთს დღეს მოლას ცოლმა ერთი დიდი გორგალი დაფი მისცა ქმარსა და უთხრა:

—წადი, ეს დაფი გაჰყიდე, სულ ცოტა, ხუთ-ექვს მანათს ფულს დაიჭერს, იმ ფულით, ჩემთვის ერთი საკაბე იყიდე და შენთვისაც ერთი საფარაჯე, მოიტანე და შევკერავო.

მოლამ ბევრი ატარა დაფი ბაზარში, მაგრამ ორ მანეთზედ მეტი არავინ აძლია და სახლში დაბრუნდა.

—რა არის, ვერ გაჰყიდეო? ჰკითხა ცოლმა.

— შერა, ვერ გავყიდე, რადგანაც შინაური მანდა ბაზარში არ გამოდგაო, უპასუხა მოლამ.

70

მოლა მასრადინას ერთი რქებ-გრძელი ძროხა, ჰყავდა. მოლას უნდოდა, როგორმე მოეხერხებინა და შიგ რქებ შუა ჩამჯდარიყო, მაგრამ მარჯვე დრო ვერ ჩაიხელა. მრთს საღამოზედ, შინ მოსვლისას, ჰნახა, რომ ძროხა კარებთან წამოწოლილიყო და იცოხნებოდა.

— სწორედ ეხლა-კი კარგი დრო არისო, იფიქრა მოლამ, მივიდა და რქებ შუა ჩაჯდა. შეშინებული ძროხა წამოხტა, თავი გაიქნია და მოლა მიწაზედ გადისროლა. თავ-ზარ დაცემული მოლა უგონოდ გაიშლართა დედა-მიწაზედ. ცოლს ამბავი მიუვიდა, გამოვარდა გარედ ჰნახა, რომ გონება-მიხდილი და თავ-პირ დამტვრეული მოლა გულ-აღმა გდია, მორთო ტირილი. მოგროვდნენ მეზობლებიცა, როგორც იყო მოაბრუნეს და გონს მოიყვანეს. მონზედ მოსულმა მოლამ თავი მალლა აიღო და თავისი თვალ-ცრემლიანი ცოლი ასე ანუგეშა:

— ნუ სტირი, დედა-კაცო, თუმცა თავიც გამოტყდა და ფეხიც ვიღრძე, მაგრამ ჩემი დიდის ხნის წადილი ეხლა მაინც ავისრულეო.

71

მოლა და იმისი ცოლი წყალზედ წავიდნენ სარეცხის გასარეცხად. რეცხვის დროს, როდესაც ცოლმა საპონი ამოიღო და ძირს დასდო, უცებ

ყვაფი მოტრინდა და საპნის ერთი დიდი ნაქერი მოიტაცა. სოლმა აუქშია ყვაფსა, რომ საპონი გავედებინებინა.

—თავი დაანებე, დედა-კაცო, დაუყვირა მოლამ:
ვერა ხედავ, რომ ტანი ჭუჭყისაგან მთლად ნაშხირივით გაჰშავებია, დეე, წაილოს, იბანოს და გასუფთავდესო.

72

მოლა მასრადინას ჩვეულებადა ჰქონდა, ცოლს სარეცხის გარეცხვაში ჰშველოდა; მხოლოდ, როდესაც მოიწადინებდნენ წყალზედ წასვლას, სწორედ იმ დროს წვიმა მოუვიდოდათ და საქმე უბრკოლდებოდათ ხოლმე. მართს დღეს მოლამ ყველი იყიდა, როცა შინ მიჰქონდა ამ დროს ცა მოიღრუბლა და წამოცრემლვა დაიწყო. მოლამ ყველი მალლა აიშვირა ცისკენ, და შესძახა:

—რაო! თეთრად რომ ნახე, საპონი ხომ არა გგონია, ყველი მიმაქვს და არა საპონი, ნუ გეშინია, დღეს სარეცხს არა ვრეცხავთო!...

73

მართს დღეს მოლა მასრადინამ ბევრის ლაპარაკით ილაჯი გაუწყვიტა თავის ცოლს. მოთმინებიდგან გამოსულმა ცოლმა უთხრა:

—ძარგი, კაცო, რამდენი უნდა ილაპარაკო, კმარა, წადი, თავიდგან მომშორდი რაღაო.

მოლამ ეს მკვახე სიტყვები საწყენად მიიღო, შეჯღა ცხენზედ და ორის დღას სავალი გზა გაიარა.

იქიდგან კაცი გამოუგზავნა ცოლს და იკითხა:
 ეს მანძილი საკმარისია, თუ კიდევ შორს წა-
 ვიდეო?

74

მოლა მასრადინას ჯიგარი ძალიან უყვარდა და მალ-მალ ყიდულობდა ხოლმე. იმისი ცოლი-კი მეზობლებთან ერთად მიირთმევდა იმ ჯიგარს და, როდესაც მოლა მოიკითხავდა, ცოლი უპასუხებდა:

— ძატას მოეპარაო.

ასეთის პასუხით რომ მობეზრდა მოლა, ერთს დღეს ცული აიღო, განჯინაში შესდო და ზედ კლიტე დაადო.

— რასა ჰჩადი, მოლა, ცულს დაკეტილში რად ინახავო? იკითხა ცოლმა.

ჰაჰ! როგორ არ შევინახო, თუ-კი კატა ორ შაურიანს ჯიგარს მოიპარავს, მაშ ორ მანათიანს ცულს არ მოიპარავსო?

75

მრთხელ რამდენმამე ახალ-გაზდებმა პირი შეჰკრეს, მოლას ფეხსაცმელები მოვსტაცოთო. ამ აზრით, მოლა ერთს დიდ ხის ძირას მიიხმეს.

— ძნელია ამ ხეზედ ასვლა და, ვგონებთ, ვერავინ ვერ გაბედავს! არა, მოლაო? ჰკითხეს.

— მე შემძლია ასვლაო, უპასუხა მოლამ, თუმცა იმათ ეშმაკობას მიხვედრილიყო. ფეხსაცმელები გაიხადა, სარტყელში გაიმაგრა და ისე დაიწყო ხეზედ ასვლა.



—შესხაცმელები რაღად გინდა, რომ თან მი-
გაქვსო? ჰკითხეს მოლას.

—შინიცობაა, თუ რომ ამ ხეს იქით—ღრუბლებ-
ში გზა დამიხვდა, იქ დამჭირდებაო, უპასუხა მოლამ.

76

მართა გლახმა მოლას ძღვნად კურდღელი მოუტანა. მოლამ პატივი სცა და გაისტუმრა. მართორის დღის შემდეგ ის გლახი კიდევ მივიდა სტუმრად მოლასთან. მოლამ ამ ჯერად მარტო წვენი აქამა და გაისტუმრა.

მართის კვირის შემდეგ მოლასთან ახლა ერთი სხვა გლახი მივიდა.

—შინა ხარო? ჰკითხა მოლამ.

—მეზობელი ვარ იმ გლახისა, რომელმაც კურდღელი მოგიტანათ ფეშქაშადაო.

მოლამ ამასაც წვენი მიართვა და გაისტუმრა.

რამდენისამე დღის შემდეგ მოლას ხუთამდე გლახი ესტუმრა.

—თქვენ ვინღა ბრძანდებითო? ჰკითხა მოლამ.

—ჩვენ კურდღლის მომტანის მეზობლის მეზობლები გახლავართო.

—ძეთილ იყოს თქვენი მობრძანებაო, უთხრა მოლამ და ერთის ჯამით სავსე ცხელი წყალი დაუდგა წინ.

—მს რა არის? ჰკითხეს გლახებმა?

—მს იმ კურდღლის წვენის წვენია, რომელიც თქვენის მეზობლის მეზობელმა მომიტანაო.

77

მოლამ ქორწილი გადაიხადა. ღაპატიეებულმა სტუმრებმა თავი მოიყარეს; დაიწყეს ლხინი და შექცევა. მოლას-კი ყურადღება არავინ მიაქცია. მოლამ ეს საწყენად მიიღო, გაიბუტა და სხვაგან წავიდა. ზაიარა კარგა ხანმა და მხოლოდ მაშინ შენიშნეს, რომ მოლა არა სჩანდა, დაუწყეს ძებნა და როგორც იყო, მონახეს.

— სადა ხარ, მოლა, აქამდის? ხალხი წასვლას აპირობს და შენ-კი არსად სჩანდი, პატარძალიც მართო არის და უშენოდ დაღონებულია.

— წადით, მომშორდით თავიდგან! ახლა მეძებთ, როცა სმა-ქამას და ლხინს მორჩით! მე მეფე აღარა ვარ, ვინც ჩემს ქორწილში კარგად სვა და ქამა, დეე მეფეც ის გახდესო, უპასუხა მოლამ.

78

მოლა, ფლავი მიაქვთო, უთხრა ერთმა.

— მე რაო?

— თქვენსა მიაქვთ.

— და შენ რაო? უპასუხა მოლამ.

79

მოლას ერთი მოზვერი ჰყავდა; ერთხელ გაუგიჟდა, აიწყვიტა თოკიდგან, გაიქცა და ქუჩაში გამვლელ გამომვლელს რჩოლა დაუწყო. მოლამ ჯოხი აიღო, მისდგა ძროხას და სცემს.

— რისთვისა სცემ ძროხას, რა დაგიშავაო? ჰკითხა ცოლმა.

— მაშ არ იციო, რომ უწვრთნელ შვილის სას-
 ჯელს მშობელს გადაახდევინებენო? უპასუხა მოლამ.

80

მოლა მასრადინა მარჯვენა ფეხით შეჯდებო-
 და ხოლმე ცხენზე.

— ცხენზედ რატომ სწორედ არ ჯდებიო? ჰკით-
 ხა ერთმა.

— მე სწორედ ვჯდები, მაგრამ ჩემი ცხენი
ცაციააო, უპასუხა მოლამ.

81

მოლა მასრადინას ერთხელ კალთაზედ მელანი
 დაჰღვროდა.

— ძალთაზედ რა დაგსხმიაო? ჰკითხა ერთმა ნაც-
 ნობმა.

— ჩვენს ჰამადას (ჰამადა არაბი იყო, რომელიც
 მოლას შევირდად ჰყავდა) დღეს გაკვეთილისათვის
 დაჰგვიანებოდა და სირბილით მოვიდა, ოფელში გაწუ-
 რული; გაკვეთილის დროს, ალბად, იმისი ოფლი-
 თუ დაწვეთილაო, უპასუხა მოლამ.

82

მოლა მასრადინას გზაზედ სამი დავრიში შეჰხვდა.

— დავრიშებო, მობძანდით სახლში, ფლავზედ
 მეწვიეთო, სთხოვა მოლამ.

დავრიშები სიამოვნებით წამოჰყვნენ. მოლამ
 ისინი ოთახში შეიყვანა, თითონ შევიდა სამზარეუ-
 ლოში და ცოლს უთხრა: ფლავი მოამზადე სტუმ-
 რებისათვისაო.

— რის ფლავი, რის ბოზბაშიო, დაუყვირა ცოლ-
მა, არ იცი, რომ სახლში არც ბრინჯი მოგვეძებ-
ნება და არც ერბოზო.

— ღაღონებულმა მოლამ აიღო ერთი ქვაბი, მი-
ვიდა დავერძებთან და ბოდიში ასე მოიხადა:

— უკაცრაოდ, თუმცა გულით მინდოდა ერთ-
თი ამ ქვაბით ფლავი მომეხარშა და გაგმასპინძლე-
ბოდით, მაგრამ, საუბედუროდ, არც ბრინჯი გვექონია
და არც ერბოზო.

83

— მართს დღეს მოლა მასრადინა სარდაფში ჩავიდა
და ერთს ქვევრს უკან დაიმალა. იმისი ქალიშვილი
ყველის ამოსატანად ჩავიდა და ჰნახა, რომ მამა მისი
იქ იყო.

— შამილო! აქ რას აკეთებო? ჰკითხა ქალმა.

— რა ვქმნა, შვილო, იმ შენი შეჩვენებული დე-
დის გაუტანლობით, ჩემს სიცოცხლეს ასე მწირობ-
ბაში ვატარებო, უპასუხა მოლამ.

84

— მოლას ერთმა გლახამ კარები დაუკაკუნა.

— რა გინდაო! ჰკითხა მოლამ, მეორე სართულის
სარკმელიდგან.

— ბთხრეთ, ძირს ჩამოხვიდეთ, კარი უგამილოთ
და მომისმინოთო, შესძახა გლახამ.

— მოლა საჩქაროდ ჩავიდა, კარი გაუღო და ჰკითხა:



—რა გნებავსო?

—ზღაბა ვარ და მიწყალობე რაშეო!

—ამომყევით, უბრძანა მოლამ, და მეორე სართულში გაიყოლია. როცა სულ მალლა ავიდნენ, მოლამ ტახტზედ მოიკეცა და ვლახას წყნარად უთხრა:

—რა სთქვი! მოწყალებასა თხოულობ? წადი ღმერთმა მოგცეს, არა მაქვს-რაო.

